ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7988641

ნომერი: AR11149956

თარიღი : 29.06.2026

გაცემის თარიღი : 06.07.2026

გაცნობის თარიღი : 06.07.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, იალბუზის ქუჩა, N4, N6, N6ა, N8, N8ა, N10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვაჟა აფრიამაშვილი პ/ნ 36001049323
- კახეთის გზატკეცილი 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 აპრილის №7895404 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 29 ივნისის №AR11149956 განცხადებით მომართა ვაჟა აფრიამაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 24

აპრილის №7895404 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 აპრილის №7895404 ბრძანებით, №01.17.13.043.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავლბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2026 წლის 25 ივნისის №7977212 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2026 წლის 24 აპრილის №7895404 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად დაფიქსირდა 1446.8 კვ.მ., საზაფხულო ფართობად: 1142.0 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად: 2337.9 კვ.მ., საერთო ფართობად: 15326.7 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2026 წლის 24 აპრილის №7895404 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (20-34 ფურცლები) ჩანაცვლდა №AR11148082 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 24 აპრილის №7895404 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, კომერციული ფართობი 1446.8 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1447.3 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 1264.8 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1403.8 კვ.მ., დამხმარე ფართობი 144.2 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 120.4 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 2345.5 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 2340.4 კვ.მ., საერთო ფართობად 15326.7 კვ.მ-ის ნაცვლად 15444.9 კვ.მ.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 აპრილის №7895404 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს 1447.3 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1403.8 კვ.მ., დამხმარე ფართობად 120.4 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 2340.4 კვ.მ., საერთო ფართობად 15444.9 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 აპრილის №7895404 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 24 აპრილის №7895404 და 2026 წლის 25 ივნისის №7977212 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.